საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა

ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

(2022 წლის 10 დეკემბრიდან 2023 წლის 10 დეკემბრამდე)

1.მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის და გაცემის შესახებ, მონაცემები საჯარო ინფორმაციაში ცვლილების შეტანის შესახებ:

2023 წლის განმავლობაში, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსულია 25 (ოცდახუთი) განცხადება (მომართვა). აქედან, 8 (რვა) შემთხვევაში განცხადებით საჯარო ინფორმაცია სრულად გაიცა. 2 (ორი) შემთხვევაში გაეცა დასაბუთებული უარი, რადგან განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის კომპეტენციას. 15 (თხუთმეტი) შემთხვევაში განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციას გაეცა უარყოფითი პასუხი, რადგან ინფორმაციის მოძიება და დამუშავება მოითხოვდა დიდი რაოდენობით თანამშრომელთა მობილიზებას, რაც თავის მხრივ შეაფერხებდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ძირითად საქმიანობას.

საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღო საანგარიშო პერიოდში სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის სჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა, გვანცა ხუციშვილმა.

სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში საჯარო ინფორმაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ მოთხოვნა, საანგარიშო პერიოდში არ შემოსულა.

2.ინფორმაცია კოლეგიური ორგანოს სხდომათა დახურვის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში დახურულად გამოცხადდა სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს 2(ორი) სხდომის გარკვეული ნაწილი:

2023 წლის 19 ივნისის და 2023 წლის 6 ოქტომბრის სხდომის ნაწილი, სადაც განიხილებოდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა კონკურსის მონაწილეთა პერსონალური მონაცემები.

3.ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და გაცემის შესახებ:

საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში შეგროვდა და დამუშავდა 35 (ოცდათხუთმეტი) თანამშრომლის (მათ შორის 33 (ოცდაცამეტი) შტატგარეშე: მოწვეული სპეციალისტები) და 2 (ორი) შტატით გათვალისწინებული თანამშრომელის, პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია;

საანგარიშო პერიოდში, იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებ-პორტალზე არსებული აპლიკაციის საფუძველზე, დარეგისტრირდა და წარმოადგინა პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია იუსტიციის მსმენელთა კონკურსით დაინტერესებულმა 282 (ორასოთხმოცდაორი) პირმა. შესაბამისად შეგროვდა და დამუშავდა მათი პერსონალური მონაცემები.

საანგარიშო პერიოდში, ასევე შეგროვდა სკოლის მასწავლებლების/ტრენერების, მოსამართლეების და სასამართლოს სხვა თანამშრომლების ის პირადი მონაცემები, რაც აუცილებელი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებ-პორტალში მათი რეგისტრაციისა და მათ მიერ ვებ-პორტალით სარგებლობისთვის. შესაბამისად, საანგარიშო, სკოლის ვებ-პორტალით სარგებლობისათვის. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, სკოლის ვებ-პორტალის დაემატა 17 ახალი მომხმარებელი. ამ ეტაპზე, ვებ პორტალში სულ რეგისტრირებულია 1533 მომხმარებელი (სტატუსი აქტიური).

4.ინფორმაცია თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში, სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის თანამშრომლების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის საფუძველზე, დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევები არ ყოფილა.

5.მონაცემები ინფორმაციის გაცემაზე უარის გასაჩივრების შემთხვევის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებებიდან 2 (ორი) განცხადებას ეთქვა დასაბუთებული უარი, ასევე 15 (თხუთმეტი) განცხადებას გაეცა უარყოფითი პასუხი, რაც არ გასაჩივრებულა.